მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

	1 წ.	6 თ.		3 თ.		1 თ.	
	მ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
თბილისში.	5	2	50	1	25	—	50
თბილ. გარ.	6	3	—	2	50	—	60
საზღ. გარ.	10	5	—	3	—	1	—

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) რუსეთის რევოლიუციის ნაყოფი დღეს. 2) ფელეტონი: პარლამენტარიზმი და პირდაპირ მოქმედება. 3) ახალი ამბები. 4) რუსეთის ქრონიკა. 5) უცხოეთი. 6) ჩვენებური უბედურება. 7) წერილი რედაქციის მიმართ. 8) დეპეშები.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; სალამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 13 სამშაბათი 19 ივნისი 1906 წ. თბილისი № 13

რუსეთის რევოლიუციის ნაყოფი დღეს.

რამ ააჯანყა ხალხი რუსეთში? რამ და ისეთმა ეკონომიურმა მდგომარეობამ, რომელიც სიმშილის საშვალებით წვრთნიდა დამშეულ გლეხობის მუცელს, ისეთმა წარმოების პირობებმა, რომელიც პორტსმუტის გმირმა შემოიღო მრეწველობაში ჩამორჩენილი რუსეთის გასამდიდრებლად: მისი მფარველობით და დახმარებით ფაბრიკები და ქარხნები იზრდებოდენ და მრავლდებოდენ ისე როგორც სოკო წვიმიანობისას. მაგრამ ფული კი არსად იყო. მუშები აწყდებოდენ ქარხნებს, რომლებიც ცოტა ხანს შემდეგ იხურებოდენ და მუშები უცებ დაანახვიდენ თავს ქუჩაში, თავისუფალ ჰაერზე, თავისუფალი მუცლებით. სულ ერთი იყო ფინანსიური ციებ-ცხელებით პორტსმუტის გმირისთვის, ოღონდ ქარხნები გამრავლებული იყო და პატრონები თუნდ ასჯერაც გაკოტრებული იყვნენ და მუშები თავისუფლად დახოცვილი იყვნენ სიმშილისაგან.

რამ ააჯანყა ხალხის შეხუთული გონება?!

რამ და ისეთმა გონებრივმა ხოლერამ, როგორიც არის რუსეთის ცენზურა, ისეთმა მთავრობამ, რომელიც მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ რამე ნაირად აღმოეფხვრა ადამიანში ყოველივე ადამიანური მისწრაფება და თავისი მურდალი სინიდისი გაემეფებინა ყველა სინიდისების დახშვით, თავისი მუცელი გაეძღო ყველა მუცლების დამშევით, თავის ოჯახობა აღემაღლებინა გარეგნულად, ყველა ოჯახების დაქვეითებით, თავისი, მთავრობის პრინციპებით გაქლენთილი შვილები გაემრავლებინა ხალხის შვილების დახოცვით მანჯურიაში.

აჯანყდა ხალხიც, ხოცავდნენ ჯაშუშებს, ჰკლავდენ პროვოკატორებს, ლაპარაკობდენ ნებადაურთველად, თავისუფლად, სწვავდნენ ბატონების კარ-მიდამოს, ანადგურებდენ მშიერი მაძღრების ეკონომიებს, იტაცებდენ იარაღს და როცა საჭიროდ დაინახავდნენ, კვდებოდნენ თავისუფლებისათვის.

რა თავისუფლებისათვის კვდებოდენ?

სრული თავისუფლებისათვის!

ისეთი თავისუფლებისათვის, რომლის შემდეგ არ იქნებოდა მტარვალობა ერთი მეორის ცარცვა-გლეჯა წარმოების მიზეზით, არ იქნებოდენ ბატონები, მონები, არამედ თანასწორ უფლებიანი—თანასწორად თავისუფალი ადამიანები, არ იქნებოდნენ ჯაშუშები, ჟანდარმები, არ იქმნებოდა ძმების, დების და მეგობრების მკლელი მხედრობა, არ იქნებოდა საპყრობილეები, ჯალათები, მდიდრები, ღარიბები.

რას მიაღწია ხალხმა დღემდის? რა ნაყოფი მიიღო რუსეთის რევოლიუც.აში დახარჯულ ენერგიიდგან?

რა ნაყოფი და ისეთი, რომელსაც ის სრულებით არ მოელოდა მისგან დაწყებულ განმათავისუფლებელ ბრძოლის დასაწყისს, ისეთი ნაყოფი, რომლითაც, საპყრობილეების მოსპობის მაგივრად საპყრობილეებად კერძო სახლები გადააქციეს მტარვალობის მოსპობის მაგიერად, სამხედრო წესები მიიღეს, ბურჟუაზიული ცარცვა-გლეჯის მაგიერ ბურჟუაზიულივე მტაცებლობის გაძლიერება მიიღეს, მონობის მოსპობის მაგიერ ახალი, უფრო ცხოველი, უფრო გამათახსირებელი მონობა მიიღეს, უფლების მაგიერ, უფლებები სხვას გადასცეს, სხვებმა მიითვისეს, თავისუფლების მაგიერ ყველა ძველი თავისუფლების ნასახისაც-კი მოსპობა მიიღეს, ერთი ჯაშუშის მაგიერ ათი, ათის მაგიერ ასი და ასე ამ გვარად ჯაშუშების მოსპობის მაგიერ მათი უსაზღვრო ბარტყები მიიღეს, მთავრობის მოსპობის მაგიერ პარტიულ მთავრობათა გამრავლება მიიღეს.

სიმშილის მოსპობის ნაცვლად მისი გაძლიერება მიიღეს. მთავრობრივ მტავალობის და გეგემონიის მოსპობის მაგიერ ამათი გამძლავრება მიიღეს სოციალ-დემოკრატიის დემოკრატიულ ი დესპოტიის, ტირანიის და გეგემონიის გაძლიერებით, სინიდისის თავისუფლების მაგიერ სოც.-დემოკრატიული სარწმუნოების აუცილებელი, სავალდებულო რწმენა მიიღეს, სიტყვით და ბეჭდის თავისუფლების მაგიერ სოც.-დემოკრატიული პროტესტი მიიღეს თავისუფლებისთვის მებრძოლთა წინაალმდეგ, პრესსის თავისუფლების მაგიერ გაზეთების დახურვა და დახევა მიიღეს მთავრობის და სოც.-დემოკრატიისაგან.

აი ის ნაყოფი, რომელიც დღემდის თავისუფლებისთვის მებრძოლ პროლეტარიატმა და გლეხობამ მიიღო.

პროლეტარებო, გლეხებო!

ნუ თუ ეს იყო თქვენი იდეალი, ნუ თუ ამისთვის იხოცებოდით მედგარ ბრძოლაში ყველა ჯურის მტარვალთა წინაალმდეგ.

ჩვენ არ გვგონია!

მაშასადამე განვაგრძოთ ბრძოლა დაუღალავი. სიცოცხლემ დაღალვა არ იცის და მკვდარი კი მას აღარ გრძნობს, ჩვენ კი ჩვენი მხრით ვეცდებით ბრძოლაში სიკვდილის შემდეგაც მოუწამლოთ ჰაერი ჩვენ მტარვალებს მანამდი-კი, და განვაგრძობთ ბრძოლას სანამ, ფრიდრიხ დიდისა არ იყოს, გვეყოლება ერთი კაცი მაინც, რომელიც შესძლებს ერთი ხელით სროლას და მეორით წერას, მანამ სანამ, ერთი პატრონა გვექნება, თავისუფლების დასაცავად.

ალი.

ახალი ამბავი

— როგორც შევიტყვეთ ამ მოკლე ხანში თბილისიდან გზავნიან მინგრელსკი პოლკს შავის ზღვის პირად მდებარე ადგილების დასაცავათ.

— 27 მინგრელსკი პოლკის სალდათის საქმე, როგორც სარწმუნო წყაროებიდან, შევიტყვეთ დანიშნული ყოფილა 22 ივნისისათვის.

— 18 ივნისს კონკის მსახურნი გაიფიცნენ და 19 დილას მხოლოთ $9^1/_2$ ნახევარზე დაიწყეს მუშაობა: მიზეზი გაფიცვისა შემდეგი ამბავი ყოფილა. 18 ივნისს დილით, კონდუქტორს დაუტოვებია ახალი განკარგულების თანახმათ აფიცერი 39 დივიზიისაა. სალამოს ეს აფიცერი მორიგეთ ყოფილა პატრულში. აფიცერს გაუჩერებია ის კონდუქტორი, რომელმაც აფიცერი ტრამვაით არ წაიყვანა და საშინლათ უცემნია. რა გაუგიათ ამხანაგებს ასეთი ძალმომრეობა იმ წამს მუშაობაც შეუწყვეტიათ. მუშაობას მხოლოთ მაშინ შეუდგენ, როცა მთავრობამ შეატყობინა მსახურებს რომ აფიცერი დაჭერილია, დასჯის ვინაობასაც ამ სამს დღეში შევატყობინებთო.

— 17 ივნისს ღამით დამპალაში (ნავთლუხშია) 20 შეიარაღებული თათარი დასხმიან თავს მწყემსებს. წაუსხამთ 120 სული მსხვილი და 160 სული წვრილფეხი საქონელი. 18 ივნისს ორი თავდამსხმელთაგანი უცვნიათ და შეუპყრიათ.

— სახელმწიფო სათათბიროს წევრს ნ. ჟორდანიას ტელეგრამით შეატყობინეს დადგენილება თბილისის ამომრჩევლებისა სომეხ-თათართა ურთიერთობის შესახებ.

— 17 ივნისს თბილისის ამომრჩეველთა კრებამ გადასწყვიტა საშვალება შეიძინოს, რომ სახელმწიფო სათათბიროს, ამომრჩევლებთა და ხალხს შორის განუწყვეტლივი ურთიერთობა დაამყაროს. ამავე კრებაზე გადასწყვიტეს გამოიცეს წიგნაკები და ფურცლები, რომლებშიაც ხალხს გააცნობენ სათათბიროს მოქმედებას და განუმარტავენ სხვა-და-სხვა საკითხებს, როგორც მაგალითად აგრარული საკითხია. ასეთივე მიზნით კრებების და ლექციების მოწყობა კრებამ დაავალა უბნის კომისიებს.

— უმუშაოთ დარჩენილ ინტელიგენტთა ბიურო აცხადებს, რომ ვისაც მე 2, 3 და 4-ხე უბანში მცხოვრებს თავისი ადრესი არ ჩაუწერია უნდა გამოცხადდეს 20 ივნისს პუშკინის სამკითხველოში.

— საქართველოს ექზარხოსათ„ ნიკოლოზის“ მაგივრად დაუნიშნავთ „ნიკონი“ ავტოკეფალიის საქმე ჯერ კიდევ მიუჩუმებიათ.

— 16 ივნისს ნამესტნიკს წარუდგნენ ქართველი სამღვდელოების მინდობილობით ავტო-კეფალიაზე მოსალაპარაკებლათ ეპისკოპოსნი ლეონიდი, პეტრე და გიორგი. ნამესტნიკს ის აზრი გამოუთქვამს რომ ავტოკეფალია არც ხალხისათვის და არც ეკკლესიისათვის არის საჭიროვო.

— 18 ივნისს თბილისის გარნიზონის წარმომადგენლებს ჰქონიათ მიტინგი ავლაბარში. გამოწვეულის დრაგუნებს და ყაზახებს შეუპყრიათ 30 კაცი, რომელნიც ყაზახებში მოუთავსებიათ, ამხანაგების მოთხოვნილებით დაჭერილები უკვე გაუნთავისუფლებიათ.

რუსეთის ქრონიკა

—

10 ივნისს სამხედრო სასამართლომ ვარშავაში გაარჩია საქმე 13 ტუსაღისა, რომლებსაც ბრალდებოდათ შეიარაღებული თავ-დასხმა გმინი ვისკიტნოს კანცელარიაზე. ოთხს იმათგანს: ანდრეი ნოვაკოვს, ალექსანდრე დომანსკის, ედვარდ ვეინეროვიჩს და იოსიფ იაროშევსკის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს; დანარჩენი, 9 კაცი გაამართლეს, მიუხედავად იმის რომ, იმათ თავისი თავი ბრალდებულად გამოაცხადეს.

რით აიხსნება სამხედრო სასამართლოს ასეთი გულკეთილობა?

სამხედრო სასამართლო სასოწარკვეთილებაში ჩაავდო აღწერამ იმ ტანჯვა-წამებისა, რომელიც მიაყენეს საბრალო ტუსაღებს ჩვენებათა გამოკითხვის დროს.

საქმე სწარმოებდა ლოდზის საპყრობილეში. აქაც გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც არაფრათ არ ჩამორჩა გამოკითხვის საშუალებაში გრიუნას და კონსტანტინოვს. ესენი იყვნენ დახელოვნებული მუშები ფუქსი და სუმოვსკი. იმათ მიეცათ სრული უფლება, როგორც სურდათ ისე მოქცეოდათ ტუსაღებს, იმათაც სტანჯეს და უკიდურესი საშვალებანი იხმარეს იმათ გამოსატეხად, აწამეს მანამდინ, სანამ ხელი არ მოაწერინეს ოქმზედ. შედარებით ამ ლოდზისი ინკვიზიტორებისა და პალაჩების გამოცდილებასთან ძალიან შორს დგას ისპანიის ინკვიზიცია.

მსხვერპლნი გატიტვლებული დააწვინეს მაგიდაზედ და ისე მაგრად სცემდნენ ჯოხებით, რომ სხეულის კანი სულ დაუსკდათ, და ალაგალაგას ნაკუწ-ნაკუწათ ძვრებოდა ტყავი, ამათ სხეულზე ახტებოდნენ სიმაღლიდან, კისერს უგრეხდნენ, თმას აგლეჯდნენ და კბილებს ამტვრევდნენ.

თითქმის თითეულ იმათგანს ეწვეია ასეთი ბედი, უმეტესად მორგენევგი, რომელმაც მეტი საბუთები მოიყვანა თავის თავის გასამტყუნებლად.

განა სიკვდილი უფრო მსუბუქი არ არის ასეთ ტანჯვაზე?

ამასთან საკვირველით არ არის რომ იმათ ბრალდებულად სცნეს თავის თავი, თუმცა არცკი იყვნენ დამნაშავენი.

რომ ეს ჯოჯოხეთური მდგომარეობა, არ არის ნაყოფი მოშლილმოსაზრებისა, მედიცინურ ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომელმაც კიდევ რამდენიმე თვის შემდეგ გამოიკვლია დასახიჩრების კვლები, მიყენებული ტანჯვისაგან.

სამხედრო სამსაჯულომ გადასწყვიტა, მხედველობაში არ მიიღო, რომ ბრალდებულნი გამოტყდნენ, რადგან არა ჰქონდათ საბუთები. გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

ბრალდებულნი იყვნენ გამართლებულნი ისევ იმ მსაჯულებისგან, რომლებმაც მიუსაჯეს ეს სასჯელი.

—

სოფ. დარიინში, ბარიატინსკის მამულში, გლეხებმა, საშინელი ლანძღვის და მუქარის შემდეგ, მიმართული იმ ათ სტრაჟნიკებისადმი, რომლებმაც დაიჭირეს საბალახოში გლეხ-კაცების ცხენები და გაანთავისუფლეს თავის ცხენები. გლეხებმა სოფ. ნიკოლაევსკისა, და ადგინეს თითონ სამუშაო ფასი, და ადგებიან სამუშაოზე მეტნი, ვიდრე ამას საქმე მოითხოვს. მებატონე იძულებულია დაემორჩილოს ამ მოთხოვნილებას.

სტანციის კორნევის სიახლოვით მოხდა შეტაკება სტრაჟნიკების და ბოქაულის მეთაურობით, დ გლეხებს შორის; გალახულ იქმნა ბოქაული და რამდენიმე სტრაჟნიკები, რომლებმაც უკან დაიხიეს. ტელეფონი წინ და წინვე იყო დაწყვეტილი.

ელეცში აგრარული მოძრაობა მთელ მაზრას მოედო, ითხოვენ მოსამსახურეებს და მუშებს მამულებიდგან. აუარებელი ბრბო, რომელიც მივიდა იმ მიზნით, რომ გაეჩეხათ ტყე მემამულე ტალდიკინისა. გარშემორტყმული სტაჟნიკებმა, როგორც იყო გაიკვლიეს გზა სროლითა, აქვე ორი მათგანი მოკლულ იქმნა.

—

10 ივნისს, საღამოთი, „კრასნოე სელო“-ში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც დაესწრო მრავალი ჯარის კაცნი. იგი არ გაგრძელდა დიდ-ხანს, რადგანაც გაფანტული იქმნა ჟანდარმებისაგან. მიტ... მონაწილეობის მიღებაზე შე... ñ ჯარის კაცი. ამის გარდა დაიჭირეს ორი მამაკაცი, რომლ... ნაობა არ არის გამორკვეული ორი დედაკაცი,—კურსისტკები.

—

ვორონეჟიდან „სტრანას“ ჩინებენ: 11 ივნისს, როდესაც მინისტრაციამ შეიტყო, რომ ლობლად ჯარის კაცებს ჰქონ... მიტინგი, გაგზავნა ყაზახები და ტილერისტები ორის ზარბაზ... ვიცე-გუბერნატორის წინამძღ... ბით. ვიდრე დამამშვიდებელნი დიდენ კრებამ დაშლა მოას... დლისით ნევის პოლკის ყაზახ... შემოარტყეს არტილერიის ჯარ... კაცნი, დაიწყეს ჩხრეკა, მაგრამ აღმოაჩინეს რა.

—

როსტოვ-დონიდგან „რეჩს“ ყობინებენ, რომ ორი სოტნ... ხებისა გადაყვანილ იქმნა ველ... კნიაჟის სოფელში. აქ ჩამოს... ყაზახები სოფლიდან, საშინ... აღელვებულნი არიან ბოლო კარგულებაზე, გადაწყვეტით ამ... ცებენ, რომ მათ არ მოსწონთ ... რობის მასპინძლობა.

—

„XX ვეკი“ გადმოგვცემს, ... იმ ჯარის უკან გაბრუნება, რო... ლიც საჩქაროდ მოიყვანეს კრ... შტატში 4 ივნის, შემდეგი მიზე... გამო მოხდა: „მოვიდა თუ არა ... რი, ალაგი დაიჭირეს ქალაქ გარ...

ფელეტონი

—

პარლამენტარიზმი და პირდაპირი მოქმედება.

I

პარლამენტარიზმი ნიშანი და იარაღია მეტი თავისუფლებისა. პარლამენტარიზმი მეტი თავისუფლების ნიშანი და იარაღია. კარგი და პატიოსანი. ჩვენ ამას არ უარ ვყოფთ. ჩვენ მხოლოდ ვკითხულოთ, ვის ან რომელ საზოგადოებრივ კლასს ანიჭებს პარლამენტალური რეჟიმი მეტ თავისუფლებას? ვისი იდეალი და იარაღია პარლამენტალური წეს-წყობილება? აი რა გვინდა შევიტყოთ და გამოვარკვიოთ. როგორ იცვლება ის პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც არსებობს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის თვითმყრობელობითი მონარქიის დროს, პარლამენტარულ რეჟიმის განხორციელების შემდეგ? აი ამ კითხვის დაწვრილებითი გამოკვლევა პირდაპირი მოვალეობა იყო ყველა იმისი, ვინც მიმდინარე რევოლიუციაში ერევოდა სოციალიზმის სახელით და ბაირახტრით, მაგრამ არც ერთმა ჩვენში არსებულმა სოციალ-პოლიტიკურმა პარტიამ ეს მოვალეობა არ შეასრულა, რადგან არც ერთს არ სურდა, რომ მუშათა კლასი გამხდარიყო შეგნებული და დამოკიდებული მონაწილე იმ დიადი რევოლიუციისა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ ამ წამებში, არამედ ყველა ცდილობდა ხელში დაეჭირა მუშათა კლასი, თავის პარტიული „დუქნის“ ინტერესებისამებრ ეხმარა და გამოეყენებია მასალად და იარაღად იმ მისწრაფებათა, რომელნიც პარტიამ და არა მუშათა კლასმა დაისახა. ჩვენ, ანარქისტები ვკისრულობთ ამ საკითხის დაწვრილებით განხილვას, არა დემოკრატიულ თვალ-ხედვითი ისრით, არამედ სოციალისტურ თვალ-ხედვითი ისრით, რადგან მხოლოდ ეს უკანასკნელი შეეფერება მუშათა კლასის ინტერესებს. აგრე ვიქცევით ჩვენ არა იმისათვის, რომ სხვისი ადგილის დაჭერა გვინდოდეს, არა, ჩვენ არავისი ბატონობა არ გვინდა, არავისი გამგეობა არ გვინდა, ჩვენ არ გვინდა შევიქნეთ ვინმეს მთავრებათ. ასე ჩვენ იმისთვის ვიქცევით, რომ ჩვენ გვსურს მუშათა კლასს საკმაო ცოდნა და მასალა შევსძინოთ რომ მას შეეძლოს თავის საკუთარი აზრის ქონა, რომ მას არ სჭიროდეს პატარა შეუგნებელ ბავშვით სხვისი ჩიჩინი, ერთი სიტყვით, რომ მას შეიძლოს თავის განთავისუფლება უხეშ „ბურსაკ უჩიტელთა“ დიქტატურისაგან. ასე ვიქცევით ჩვენ კიდევ იმისთვის, რომ ვიცით ცდით, რომ სოციალ-„პოდლოგისტების“, სოციალიზმის დამახინჯებულების დაკლა გონებრივს იარაღით—კრიტიკით, ფაქტებით შეიძლება, რადგან კრიტიკა და ფაქტები ნათელ-ყოფენ მათ სივაგლახეს, ფაქტიურსა და ისტორიულ სილატაკეს.

* *
*

რა არის დემოკრატია, ის დემოკრატია, რომლის მართველობითი სისტემაა პარლამენტარული, წარმომადგენლობითი სისტემაა? ის ორი რამ არის: „პოდლოგი“ და უზურპაცია. რისთვის არის „პოდლოგი“ და რისთვის უზურპაცია? აი რისთვის.

დემოკრატია ნიშნავს ხალხის მთავრობას. დემოს—ხალხი და კრატია—მთავრობა (власть). არის სადმე განა ისეთი დემოკრატიული რეჟიმი, სადაც ხალხის ნება იყოს ყველაფერში? არა. შესაძლებელია—გარდა ანარქიულ წეს-წყობილებისა—ისეთი წეს-წყობილება არ აჯდეს კისერზე მბრძანებლად და გამგეთ, თვით განაგებდეს თავის საქმეს? იყო სადმე ასეთი დემოკრატია? არა, შეიძლება იქნეს სადმე ამისთანა დემოკრატია? ჩვენი აზრით არა და არა, რადგან დემოკრატია რომ მაგვარ ხალხის თავისუფლებას ახორციელებს, მაშინ ჩვენც დემოკრატები ვიქნებით და ჩვენი იდეალი—ანარქიზმი—დემოკრატია იქნება. ასეთია ჩვ... აზრი, მაგრამ ყველა ჩვენი ა... ხომ არაა. აიღეთ ჟურნალ-გაზე... ბი, აიღეთ რუსეთის რევოლიუ... მიერ გამოწვეული სადღეისო ბ... შიურები. რას ამბობენ შიგ? ყვე... ნი ერთ ხმად გაიძახიან: როცა ... სეთში სამოქალაქო თავისუფლ... უფლებლობის (правовой) წესწ... ბილება, კანონის წინაშე ყვე... თანასწორობა რომ განხორციელ... ბა, საყოველთაო, ფარული და პ... დაპირი კენჭის ყრა რომ შემოღ... ბა, ხალხი თავისუფალი შეიქნ... მის ხელში გადავა, მისი სვე-ბედ... მის გემოზე მოწყობის უფლება, ... შინ ხალხი თითონ განიგებს თავის... ასე ამბობენ დემოკრატები, ას... სწყვეტენ სადღეისო პოლიტიკურ ... თხვებს ჩვენი სოციალ—„პოდლ... გისტებიც“. მართლაც ასეთია დე... მოკრატიის ლოზუნგი და სწორ... აქ იმალება სიყალბე დემოკრატ... ზმისა, რადგან ეს რომ ასე იყ... მაშინ იქ სადაც დემოკრატიულ... პრინციპი განხორციელებული ხა... ხის თავისუფლებაც დამყარებუ... იქნება. ავიღოთ მაგალითად ის ქ... ყნები სადაც ყველა ის პოლიტიკუ... რი და ნახევარზედ მეტად (თითქ... სულ ერთიანად მხოლოდ აგრარუ... მოთხოვნილებათა გარდა) ეკონო... მიური რეფორმები, რომელ...

ომ დღესვე იმათ ლაგერში თავი მოიყარეს მატროსებმა და გამართეს მიტინგი, რომელსაც დაესწრო, მატროსებს გარდა, სხვა ჯარის კაცებიც. მატროსებმა მიჰმართეს მათ სიტყვით და ჰკითხეს, თუ რისთვინ არიან ჩამოყვანილი. „თუ იმიტომ ხართ მოსული რომ, ჩვენ ამოგვწყვიტოთ,—უთხრეს მატროსებმა ძაშინ ჩვენ მხარს დაგვიჭერს ჩვენი ამხანაგები და ზღვიდან გაგწყვეტთ სუყველას, ამ შემთხვევაში თქვენ ვერ დაიმახსურებთ კრონშტატის გმირის სახელს“. მისულმა სალდათებმა უპასუხეს, რომ იმათაც არ იციან, რისთვის მოსულან, არ იციან, რისთვის მიერეკებოდენ იმათ ძველ ლამეს კრასნოე-სელოდან ორანიენბაუმში, და წვალებით გადაჰყავდა ბარუებით კრონშტადტში. სალდათებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს მატროსებს და მოითხოვეს ძაშინვე დაებრუნებიათ კრასნოე-სელოში. მთავრობამ შეამჩნია თუ არა მოყვანილ ჯარში მღელვარება ფაცხაფუცხით დაიჭარა ჯარის უკან დაბრუნება.

—

„ნაშა ჟიზნ“ ცნობებით, თეთრი ლიგა განაგრძობს თავის მოქმედებას. 8 ივნისს ერთ გვარდიის აფიცრის სადგომში პეტერბურგში, შესდგა გვარდიის აფიცრების კრება. კრება გაიხსნა მოხსენებით, აფიცრის თავად მონზალოვის მოკვლის შესახებ, ვითომდა სიკვდილი ჩადენილი იყო რევოლიუციონერებისაგან.

უცხოეთი.

საფრანგეთი მეგობართა კავშირი რუსეთის ხალხისა აგროვებს ხელის მოწერას ადრესზე, რომელიც მიმართულ უნდა იყვეს საფრანგეთის მთავრობასთან, ბელოსტოკის პოგრომის გამო, ადრესის ავტორები სთხოვენ მთავრობას მიმართონ პეტერბურგში იმ წინადადებით, რომ ბოლო მოუღონ აწიოკებას რუსის ურიების. ხელის მოწერას აგროვებენ ანატოლ ფრანსი პრესსანსე ბიუსსონი და სხვ.

—

ინგლისი ამ ხანთ გამოცხადებულია პროგრამმა მოქმედობისა საერთაშორისო პარლამენტის კრებისა, რომელიც შესდგება ლონდონში 10 (23) ივნისის თვეში ამ კრებაში სხვათა შორის, განიხილავენ მეძდეგ კითხვებს: წინადადება ამერიკელ ჯგუფისა: ნიმუში საძედიატორო სასამართლოს გამოსარკვევად; გარჩევა ვითარებისა, რომლის ხებართვა წარდგენილ უნდა იქმნას გაგის მეოთე კონფერენციაზე სახელმბრ: შეძცირება ხმელეთსა და საზღვაო საძხედრო ძალებისა და სამხედრო ჯარისა. 2) უფლებაზედ და თანამდებობაზე ხეიტოალეული სახელმწიფოებისა. 3) კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა სამხედრო ოპერაციისა ზღვაზე. 4) ახალი ქურის საზღვაო იარაღებისა, 5) ყუმბარების დაშენის თაობაზე სამხედრო გემებიდან ქალაქებზე და სოფლებზე. განხილულ იქნება კიდევ წინადადება ამერიკელთა ჯგუფისა, საერთა შორისო პარლამენტის დაარსებისათვის.

—

ჩვენი უბედურება.

სწორეთ მოგახსენოთ, „ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობსო“, რომ იტყვიან ჩვენებურად, ისა გვჭირს... აბა ძიბძანეთ თქვენი ჭირიძე, მე საწყალმა ათასნაირათ დაბეჩავებულმა მუშამ რაფრათ გავიგო. ვის არის ჩვენი კეთილის მყოფელი: ყველა პარტია თავის ქებას უნდება, ყველა ჭრელ-ჭრელ სიტყვებს ისვრის... მაგალ ხომ ძველი მთავრობაც შვრება: „ჩვენ რომ არა, თქვენი ცხოვრება არ შეიძლებაო“, იძახის პოლიცია, როცა გამომძხვევს მათი მოქმედება ყოველის მხრით და გააგებიეს ქვეყანას, ახლაც არ უნდა დაუთმოს რამე სიმართლეს, ქეშმარიტებას... ახალი მოძრაობა, აძბობს ის, ჩემ უსაფუძვლობას კი არ ამტკიცებს, კრიეზე ადგია და უარესზედაც.

ბატონო, მეტი თუ არაფერი ვიცი მამასახლისის ამომრჩეველთაგანი ხომ ვყოფილვარ: ძლიერ გულით, რომ მოგვენდომებია ჩვენი გუნების კაცის ამორჩევა... ჩვეხგან ხელ-მოწერილ პროტოკოლში ძაინც პრისტავის დამქაში უფრო მოჰყვებოდა, ვიდრე ჩვენი გულ-შემატკივარი. ეს გვემართებოდა, ერთის მხრით ჩვენი უვიცობითა და მეორე—პრისტავის და მისი აგენტების გაიძვერობით, რომლებიც „გვინდა არ გვინდას“ ძახილით ყურებს გვიყრუებდენ ამორჩევის დროს კრებაზე და მწერალიც ხომ პრისტავის კუდია, როგორც მათ იამებოდათ ისეთ პროტოკოლზე მოგვაწერიებდენ ხელს და შემდეგ რომ გავიგებდით რამდენიც გერჩიოს, რაღას იზამ, საქმე შენგნით ხელმოწერილ—წამხდარი გამოდის. და პრისტავი საბუთით გამართლებული. სწორეთ მოგახსენოთ ეს პრისტავის ყალბი (არა ხალხის გულის თქმის გაძმახატველი) პროტოკოლი გამახსენდება, როცა ვკითხულობ. გაზ. „ლამპარში“, რომ ამა და ამ ქარხნის ან სხვა დაწესებულების 100 და 200 მუშამ პროტესტი გამოუცხადა „მუშის“ რედაქციასო, რათ შეურაცხყოს. დ., რათ გამომეფავნა ძათი ყოფა ქცევაო, ლანძღვა გინებით რათ მოიხსენაო და სხვა, სწორეთ ამას ქვია „სხვის თვალში ჩხირის შეტყობა უფრო ადვილია, ვიდრე თავისს თვალში ძელისა“; აბა გულზე ხელ-დადებით მითხარით მეკითხველო, თუმცა უნდა მოგახსენოთ ლანძღვა გინება ერთმანეთის ჩვენ გაზეთებს სენთა აქვსთ, მაგრამ „მუშის“ (ამ უკანასკნელმა ფაქტების აღწერით უფრო გაამწარა „ლამპარი“ თორემ ლანძღვით ვინ გაიკვირვებს მაგ მადლიან ორგანოს) გამოსვლამდინ, რომელი ორგანო მეტათ ილანძღებოდა „შრომა“ თუ „ლამპარი?“ მაგის უარს ვერ მეტყვით, რომ ამ საგანში პირველობა „ლამპარს“ ეკუთვნოდა.

მაშ რამ გაამწარა? რათ გამარ-

ჩენში და რუსეთში თხოულობენ განხორციელებულ არიან და გადავალოთ თვალი იმას, თუ როგორია ხალხის თავისუფლება. გერმანიასა და ავსტრიას დავანებოთ თავი, რადგან ეს ორი ქვეყანა, სწორედ ის ორი ქვეყანა, სადაც სოციალ-დემოკრატი უფრო ძლიერია, ძალიან უკან ჩამორჩესან ევროპის ბოლიტიკური ცხოვრების მხრივ. გერმანულ პოლიტიკურ თავისუფლებაზე ლაპარაკი აოც კი ღირს: სახარის იმპერატორ ეკ I (ლებედის)-ზე რომ რაძე დასწერო გაზეთს დაგიხურავენ—იმპერატორის პიროვნება ხელ მეუხლეველია, მაშინაც კი როცა იმპერატორს ეკ I ჰქვია და სახარის იმპერატორობას ჩემულობს. კრებაზე პრისტავი ტრიბუნაზე ზის და თუ ძას რომელიმე ორატორი არ ძოწონა, ან რომელიმე ორატორმა რაძე მკვახე სიტყვა იხძარა (ასეთ სიტყვად საგიტაციო სიტყვაში—საერთო გაფიცვაც ითვლება) ის ქუდს დაიხურავს თავზე: ეს იმას ხიშნავს, რომ კრება უნდა დაიშალოს. თუ ხალხმა ჯრ გაიგონა და არ გაიფანტა ჩვენი ძთავრობის მოსაწოს ძუჯლუგუნებს მიაყოლებენ ზურგში. დავანებოთ თავი ამ სოციალ-დემოკრატიისა და ტუკის საძეფოს. უფრო დემოკრატიული ქვეყნების თუნდა მაგალითად ავიღოთ შვეიცარია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები. საყოველთაო, ფარული და პირდაპირი არჩევნობა გინდათ? არსებობს აქ კანონის წინაშე თანასწორობაც. საფრანგეთში ყველა ოფიციალური დაწესებულების კარებზე, აგრეთვე საპყრობილეს კარებზედაც აწერია: თავისუფლება, ერთობა, ძმობა. შვეიცარიაში კი რეფერენდუმის უფლებაც არსებობს. ასე რომ რასაც ჩვენში თხოულობენ იქ ის უკვე არსებობს. მიუხედავად ამის ხალხის ნება-ყოფლობის პრინციპი არ არის განხორციელებული: უფლება და გამგეობა ხალხის ხელში არის. ვინ ირჩევს აბა და ვის ხელშია მთავრობა? საფრანგეთში მაგალითად 40 მილიონი სულია (30-ია 40 ციფრის სირგვალისათვის ვიღებთ), ამ 40 მილიონიდან კერძის მიცემის უფლება არა აქვს ქალაქებს, ე. ი. ნახევარს მკვოვრებთა რიცხვისა, დარჩა 20 მილიონი. ამ ოცი მილიონიდან ცოტა რომ ვსთქვათ 5 მილიონს მაინც ხნიერობის ცენზი არ ექმნება, დარჩა 15 მილიონი. აქედან უნდა გამოვრიცხოთ კიდევ სხვა და სხვა მიზეზების გამო ნახევარზე ბევრად უმეტესი, ასე რომ არჩევნებში ბოლოს და ბოლოს მონაწილეობას იღებენ 3,5—4 მილიონ. ხალხი. ამ გვარად გამოდის რომ მხოლოდ ეს მეათედი საფრანგეთის ხალხისა ითვლება მთელ ხალხად; ამ ოთხი მილიონიდან უნდა გამოირიცხონ კიდევ ისინი, რომელნიც პრინციპიალურად არ იღებენ კენჭობის კომედიაში მონაწილეობას დანარჩენი მიიღებს კენჭის ყრაში მონაწილეობას კენჭის ყრის დროს ეს ნაწილიც ორად, უმცირესობად და უმრავლესობათ (მაგ. 1,5 2,5 მ. გაიყოფა და დარჩება სულ მცირედინა წილი, 2,5 ნახევარი, რომელსაც ეყოლებათ პირდაპირი წარმომადგენლები პარლამენტში. ამას ჰქვია დემოკრატია, ხალხის მართველობა, ნამდვილათ კი აქაც პრივილეგიის მქონე უმცირესობა განაგებს, მის ხელშია მთელი ქვეყნის სვე ბედი, ის სცემს ყველას სავალდებულო კანონებს. უმცირესობას, ხალხის მყვლეფელებს—ხალხად გვაჩვენებენ—განა ეს სიყალბე არ არის? მთელი ხალხის მაგიერ მისი სახელით სულ მცირედი ნაწილი ხალხისა არის ბატონი, გამგე და პატრონი, სულ ყველა უფლება ამ მცირედ ნაწილსა აქვს ხელში ჩაგდებული ხალხისვე სახელით,—განა ეს უზურპაცია არ არის?

პარლამენტარული რეჟიმი სიყალბეა, რადგან ძალა ხალხს უნდა ჰქონდეს ხელში ძლიერი ხალხი უნდა იყოს. ამის მაგიერ ძალა პატარა პრივილეგიის მქონე უმცირესობას აქვს ხელში, ძლიერი და უფლებაანი მხოლოდ ის არის. პარლამენტარული რეჟიმი უზურპაცია, რადგან უფლება, რომელიც ხალხს უნდა ჰქონდეს ხალხის მყვლეფელ უმცირესობას აქვს ხელში ჩაგდებული.

*
* *

მიუხედავად ამისა ვვეტყვიან, იქ სადაც ნამდვილი პარლამენტარიზმი არსებობს, ხალხს რაც არ იყოს, მაინც მეტი თავისუფლება აქვსო მართალია, რომ ზოგი-ერთ ქვეყნებში მართლა აქვსთ მუშებს მეტი პირადი თავისუფლება, უფრო ნაკლებად გაჭირვებულნი არიან უკეთესი მდგომარეობა მუშებისა იმ ქვეყნებშიაც კი, სადაც პარლამენტარული რეჟიმი არსებობს იმით კი არ აიხსნება, რომ იქ პარლამენტი და დემოკრატია სუფევს, 'არამედ იმით, რომ იქ თვით მუშათა კლასი არის იმდენად შეგნებული და ძლიერი რომ ის თავის ძალით, თავის პირ-და-პირ მოქმედებით აიძულებს ბურჟუაზიას ცოტა არ იყოს, მეტი ყურადღებით მოექცეს მუშა-

თეს მუშების ხელ მოწერა და პროტესტს რათ უცხადებენ?.. ნათქვამია „თუ პიმშილი არ გიპამია პირი რათ გეწვისო?“ თუ არაფერი დანაშაული მიუძღვის? ს. დ., თუ ის ფაქტები, რომელიც „მუშამ“ აღწერა მართალი არ არის, დაგვიმტკიცონ ყოველი ბრალდების უსაფუძვლობა და გათავდა. ეს უფრო ადვილია. მართალი კაცისთვის ვიდრე ფაბრიკა ქარხნებში ჩამოტარება ხელმოსაწერთა პროტესტებზე. პროტესტის გამოცხადებას დიდი ნიჭი არ უნდა ყოველი მუნჯი შესძლებს „ეჰეს“-თქმას, ეს რა საბუთია? მე მოგახსენებთ ხელის მოწერა გამართესაშო, მეტყვიან თითონ და ადგენენ პროტესტებსო, მაგრამ ეს ტყუილია. დავუჯეროთ რომ ის აგენტების პროტოკოლზე ხელის მომწერი მუშები იცნობენ ანარქისტებს? თუ იცნობენ უთუოდ იმათგან, ვინც მონოპოლია აიღო. ჩვენში ქადაგების, ხარჯის კრეფის და სხვ; თორემ ეს ახალი პარტია, რომელიც მხოლოდ ორიოდე კაცისაგან შესდგება ჯერ ჩვენში, ვერ შესძლებდა სავსებით გაეცნო თავის მისწრაფება ხალხისათვის; მით უმეტეს რომ ანარქისტის ხსენება ტ მისი მოქმედება წარმოდგენილი გვქონდა ხალხში როგორიც ყოლიფრის მომსპობი, არარის გამკეთებელი და ეს ვიცოდით ვისგან?—მთავრობისგან და ზოგიერთ პარტიებისაგან. როგორც ჯერ-ჯერობით გავიცანი ამ მოკლე ხანში, იმგვარს ვერაფერს ვხედავ ჯერ ანარქისტებში. გვიჯობს, ამხანაგებო, ყველას მოძღვრება გავიცნოთ, თორემ თავის ქებით და სხვისი ლანძღვით რომ რამე ფასდებოდეს, ამა მთავრობა ვის ჩამორჩება? ისე კითხე გოროდეცეს ჩვენ რომ არა, ყველა მუშა შიმშილით მოკვდებაო“ გვეტყვის. მარა ეს ცოტაა. და თქვენ, მეგობრებო, ყველა პარტიისავ, რომელთაც თავს გიდგიათ ჩვენი წინდოლა ახლანდელ აუტანელ მდგომარეობიდან განთავისუფლებაში, გთხოვთ მეტი სიდინჯით, გულწრფელობით და სიმარტივით გაგვაკეთოთ გზაჭეშმარიტებისა.

მუშა.

ნერილი რედაქციის მიერ.

ამხანაგო რედაქტორო!

უმორჩილესად გრთოვთ ამ პატარა წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „მუშის“ მახლობელ ნომერში.

გაზეთ „ლამპრის“ მე-44 ნომერში იყო გამოცხადებული პროტესტი ანარხისტების წინააღმდეგ თბილისის ვოდოპროვ. ცეხის მუშებისაგან და სხვათა შორის ამბობს, რომ „სირცხვილი იმ მუშებს, რომლებიც ამ გაზეთზე მუშაობენ და ყურადღებას კი არ აქცევენ მუშების ლანძღვას და დამცირებას“-ო.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ განუმარტო ვოდოპროვ, ცეხის მუშებს, რომ გაზეთ „მუშის“ წერილებში მუშის ლანძღვა და დამცირება კი არ არის არამედ იდეოლოგიათა შორის ბრძოლაა.

„მუშის“ მუშები.

დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშები).

—

ქუთაისი. 16 ივნისი. დღეს დილის 11 საათზედ ვიღაც შეიარაღებულნი უცნობნი დაეცნენ „ნადეჟდას“ კანტორას და გაიტაცეს 1548 მან.—მკარცელელნი ვერ შეიპყრეს.

ბახმუტი. გაფიცულ მუშებს ლიდნევის მადნისას ფულად გაუსწორდენ და დაითხოვეს.

კაზენი. დეპუტატებმა ანიკინმა და ვასილიემა პასუხი მისცეს „ხალხის თავისუფლების პარტიის“ კომიტეტს მათ გამოგზავნილ ტელეგრამისა, რომ მათ ამცნეს შინაგან საქმეთა მინისტრს მიიღოს ზომები პაგრომის წინააღმდეგ.

პრაზსკუროვი. სოფ. გულეცში ღვინის დუქანში შევიდენ აკციზის მოხელის ტანისამოსში გამოწყობილი სამი უცნობი კაცი, რომელთაც რევიზიის დროს 500 მან. წაიღეს და მიიმალნენ.

ვილნა. ნემეცის ქუჩაზე რამდენიმე უცნობმა რევოლვერებით აუტეხეს სროლა პოლიციელთ. სროლის შემდეგ დაჭრილი, აღმოჩნდა ოკოლოდოჩნი ლაპშინა და ერთი გოროდოვოი დაჭრილი მეორე კი მკვდარი. შეიპყრეს ერთი მსროლელთაგანი.

ვარშავა. პანის ქუჩაზე ვიღაცა უცნობმა მოჰკლა ოკოლოდოჩნი ფილინცევი. ბრუდნაში სასიკვდილოთ არიან დაჭრილნი სამი სტრაჟნიკი.

პეტერბურგი. „ნაშა ჟიზნი“ გადმოგვცემს, რომ გამოძიებამ გაპონის შესახებ გამოარკვია—რევოლიუციონერებს არ მიუღიათ მონაწილეობა მის მოკვლაში.

ვარშავა. კრაბმალის ქუჩაზე ვიღაც უცნობისგან მოკლეულ ქანდარმი ფლოროვი.

ელიზავეტოპოლი. რკინიგზაზე სადგურზე უცნობთაგან მოკლეულ ბოქაული მურავსკი.

ოდესსა. ქანდარმი ეფიმოვოლეერით მოჰკლეს რკინიგზის დათხოვნილმა მოწაფეებმა. დაჭრილ მისი სამი წლის ქალი და ა. გზის ხელოსანი, რომლებიც მოვთან ერთად მიდიოდნენ. შეიარაღებული ახალგაზდები დაეხსნენ სიგალის აფთიაქის ზიას, გაიტაცეს 250 მანეთი. მალნენ.

ნება დაურთველი ბროშურა და პროკლამაციების გავრცელებისათვის ციხეში დატუსაღება. ... წყვეტეს ებშტეინის 6, გურევიჩ ... ეიოთოოვსკის 2 თვით.

ბახმუტი. გაიფიცნენ დაბ... ლიუბიმოვას მაღაროს მუშები. თხოვნილებანი არ დაუკმაყოფილ... ფარკეს ბოთლის ქარხნის მ... გაიფიცნენ და მდგომარეობის მ... მჯობესებას ითხოვენ.

ვილნა. ნემენცის ქუჩაზე მოჰ... გოროდოვოი ტ ოკოლოდჩნიკი. ... განაც ამათ მოინდომეს იმ უცნ... დაჭერა, რომლებმაც ლევინ... კონდიტეროში ფული მოითხო...

ხარკოვი. ეკატერინინსკის ... გზაზე, კუპინსკის მახლობ... მატარებელში მოჰკლეს არტელ... გაიტაცეს 22,000 მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ დიასა...

ამა ივნისს 22-დან ტფილისში გამოვა

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

გ ლ ე ხ ი

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: **მიწა და თ... ვისუფლება, მიწა მიწის მუშებს!** გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომელ... გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და ... ნობს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი ... გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც თ... ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობ... ობის განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა და თ... სუფლებაზე დამყარებულს ცხოვრებას.

ფასი გასუფასა: წლის დამლევამდე **1** მან. და **60** კ., სამი თვით—**80** ... ცალკე № — 6 კ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (საპოლის ქუჩა, № 43) ... წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(5—1) რედაქტორ-გამომცემელი ... ...

თა სამართლიან მოთხოვნილებებს. იქაც მუშას მხოლოდ ის უფლება და თავისუფლება აქვს, რასაც თვითონ იღებს და იცავს თავის ძალით და შეძლებით. ბურჟუაზია თავის ნებით და შეძლებით არც იქ აძლევს რაიმე შეღავათს მუშათა კლასს. საფრანგეთში მაგ., მუშას ჯერ გაწყეტლენ,—და ეს იმისათვის კი არა, რომ კანონი იცავს მას. არა. ეს ასეა იმიტომ რომ თვით მუშა კლასი არ მოითმენს ასეთ შეურაცყოფას. მეორე მხრით იმისათვის რომ საზოგადო კულტურა საფრანგეთისა უარჰყოფს ასეთ აქტს. მაგრამ აქედგან ის დასკვნაარ უნდა გამოვიყვანოთ ვითომ პირადობა მუშისა ხელ შეუხლებელი იყოს. მუშის პირადობა მხოლოდ იქ არის ხელშეუხლებელი, სადაც მუშათა კლასი იმდენად ღონიერია, რომ ის თავის პირდაპირი მოქმედებით ნებას არ აძლევს ბურჟუაზიას და მისი ნების აღმსრულებელს სახელმწიფოს' შეეხოს და შეურაცჰყოს რომელიმე მისი ნაწილი. მაშასადამე უფლება და თავისუფლება მუშათა კლასისა იმით კი არ იზომების, თუ რა სწორია კონსტიტუციაში, არამედ იმით თუ როგორი ძალა, ორგანიზაცია და შეგნება აქვს მუშათა კლასის. თვით მუშათა კლასის ძალა, მისი შეგნება და შეძლება პირდაპირი მოქმედებისა წარმოადგენენ იმ არშინს, რომლითაც იზომება მუშის უფლება და თავისუფლება. ამას ყველაზე უფრო ნათლად ის ამტკიცებს, რომ იქ, სადაც თვით მუშას არ აქვს ძალა დაიცოს თავის თავი, მისი პირადობა, მისი უფლება და მისი თავის უფლებაც გათელილია ფეხებით, როგორიც უნდა იყოს კონსტიტუცია. ერთად ერთი გარანტია მუშათა თავისუფლებისა და უფლებისა არის ძალა თვით მუშათა კლასისა და არა წერილი კანონები და ბურჟუაზიული კონსტიტუციები. ვნახოთ ეხლა თუ როგორ ეპყრობა დემოკრატია მუშათა უფლებას და თავისუფლებას, ვნახოთ რამდენად თავისუფალია მუშათა კლასი იქ, სადაც ის თითონ ვერ იცავს თავის უფლებებს.

კ. ილინი.

(გაგრძელება იქნება).

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.